ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია
გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური

წერილის ნომერი: **18-01200142384**
თარიღი: **14/01/2020**
პინი: **5149**

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური
მისამართი: შარტავას 7

გადაამოწმეთ: **document.municipal.gov.ge**

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურმა (შემდგომში მოხსენებული, როგორც ,,სამსახური“) განიხილა, თქვენი 2020 წლის 6 იანვრის N17-01200062093-18 წერილი და თანდართული, მოქალაქე ირაკლი თავაძის მიერ წარმოდგენილი, შპს „თბილსერვის ჯგუფის“ საკუთრებაში არსებული სამშენებლოდ გამოსაყენებელი ტერიტორიის (ქ. თბილისი, კახეთის გზატკეცილი N67 ს.კ.:01.19.22.002.003; AR1722124; III კლასი, საწყობი; ს-1, ტზ-1) გამწვანების პროექტი.

გაცნობებთ, რომ წარმოდგენილი გამწვანების (დენდროლოგიური) პროექტის თანახმად, ახალი გამწვანებული სივრცის მოსაწყობად შემოთავაზებული, დასარგავი 2 ძირი ირმის რქა, 15 ძირი მარადმწვანე მუხა, 15 ძირი ნეკერჩხალი ქორაფი, 2 ძირი ოლეანდრა, 12 ძირი ხეტიტა, 15 ძირი წითელი მუხა, 2 ძირი არღავანი, 37 ძირი ჰიმალაის კედარი, 2 ძირი უნაყოფო თუთა, 2 ძირი ლენქორანის აკაცია, 4 ძირი ევროპული ვერხვი და 41 ძირი ტუია სრულად ითვისებს კ3 გამწვანების კოეფიციენტის მინიმალურ საანგარიშო ფართობს (1277.7 კვ.მ=0.1), გასამწვანებლად შემოთავაზებული მცენარეები (სახეობები შერჩეულია ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2018 წლის 8 თებერვლის #05.14.147 განკარგულებით დამტკიცებული პრიორიტეტული ხეების სიიდან) შერჩეულია კლიმატური, ნიადაგობრივი, დეკორატიული და ურბანული პირობების გათვალისწინებით.

ამდენად სამსახური თანახმაა არსებული სახით დამტკიცდეს გამწვანების პროექტი.

აქვე დავძენთ, რომ ბანერის გამოკვრამდე საჭიროა დაზუსტდეს პროექტის შეთანხმების თარიღი.

დამატებით გაცნობებთ, რომ მშენებლობის პროცესში წარმოქმნილი ნარჩენების მართვა უნდა განხორციელდეს საქართველოს კანონის „ნარჩენების მართვის კოდექსის“ შესაბამისად. იმ შემთხვევაში თუ წარმოქმნილი ინერტული ნარჩენები გამოყენებული იქნება ამოვსების ოპერაციებისთვის ან მშენებლობის მიზნებისათვის, საჭიროა მომზადდეს პროექტი, რომელიც უნდა შეთანხმდეს შესაბამის უწყებასთან (ნარჩენების მართვის კოდექსი (21-ე მუხლის მე-5^1 პუნქტი).

წინამდებარე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი შესაძლოა გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), დაინტერესებული მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

პატივისცემით,

გიგა გიგაშვილი

პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი
(საქალაქო სამსახურის უფროსი)

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ელექტრონული შტამპი